



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ბრეჟნეტი: სოციალიზმის კატალიზატორი თუ გაფრთხილება?

გიორგი ბაღრიძე

81

ეკსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გიორგი ბაღრიძე

ბრეჟნევიჩი: კოკუზიზმის კატალიზატორი თუ გაფრთხილება?

81

2017



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-9888-8

ევროკავშირის დატოვების თაობაზე დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმიდან (ბრექსიტი) თითქმის ერთი წელი გავიდა. მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის ხელისუფლებამ 50-ე მუხლის ინიცირება მაქსიმალურად დიდი ხნით გადაავადა, „გაყრის“ ფორმალური პროცესი ოფიციალურად 2017 წლის მარტის ბოლოდან იწყება.

ასეა თუ ისე, საკმაო დროა გასული იმისთვის, რომ გადავხედოთ, თუ რა მოხდა რეფერენდუმიდან დღემდე და რა შედეგები მოუტანა ბრიტანელი ამომრჩევლის გადაწყვეტილებამ ევროკავშირიდან გამოსვლის შესახებ თავად ამ ქვეყანას, ევროკავშირს და, ზოგადად, დემოკრატიულ სამყაროს. ასევე საინტერესო იქნება იმის გარკვევა, თუ რამდენად რაციონალურ საფუძველს ეყრდნობოდა ეს გადაწყვეტილება.

2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმის კვალდაკვალ ბრექსიტის შედეგებთან დაკავშირებით გამოთქმული ბრიტანელი და ევროპელი ექსპერტების აზრი უმეტესწილად ნეგატიურ პროგნოზს ეფუძნებოდა. უმეტესობა თანხმდებოდა, რომ ბრიტანული რეფერენდუმი პოპულიზმის გამარჯვების პრეცედენტს წარმოადგენდა. ბრექსიტის მომხრეებად მოგვევლინა პოლიტიკოსთა უმცირესობა (ევროკავშირიდან გამოსვლის მომხრე არც ერთი დიდი პარტიის ლიდერი არ ყოფილა) და მედიის შედარებით მოყვითალო ნაწილი. ისე გამოვიდა, რომ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის კამპანიაში გაზეთებმა The Sun-მა (ცნობილია მესამე გვერდზე ტრადიციულად შიშველი ქალების ფოტოებით) და იაფი სენსაციების მოყვარულმა Daily Mail-მა დაამარცხეს ჟურნალი The Economist და გაზეთი Financial Times, რომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური ანალიზი მთელ მსოფლიოში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს.

პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, ყველა თანხმდებოდა, რომ რეფერენდუმის შემდეგ ბრიტანეთს და ევროკავშირს ძალა არ უნდა დაეშურებინათ ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმების მისაღწევად. მოდი, თვალი გადავავლოთ მას შემდეგ განვითარებულ პროცესებს და ვცადოთ გარკვევა, არიან თუ არა მხარეები ახლოს ამგვარი შეთანხმების მიღწევასთან და რას უნდა მოველოდეთ მომავალში.

რეფერენდუმის ნეგატიური შედეგების ნაწილი უკვე ხელშესახებია. რამდენიც არ უნდა ამტკიცონ ბრექსიტის მომხრეებმა, რომ ბრიტანული გირვანქა სტერლინგის გაუფასურება დადებითად

მოქმედებს ექსპორტზე, ეს უფრო იმის მცდელობას ჰგავს, რომ უარყოფითის მიღმა დადებითიც დაინახონ. რა თქმა უნდა, ეროვნული ვალუტის გაიაფება მართლაც აიაფებს და უფრო კონკურენტუნარიანს ხდის ექსპორტს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბრიტანეთში ინვესტიციების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ფუნტის სტაბილურობა იყო, ხოლო რეფერენდუმის შედეგად მისმა ოცპროცენტიანმა დევალვაციამ უარყოფითად იმოქმედა ინვესტორების განწყობაზე¹, გააძვირა იმპორტი და უცხოელი მყიდველებისთვის გააიაფა ბრიტანული (განსაკუთრებით ლონდონის) უძრავი ქონება და საშუალო კლასისთვის კიდევ უფრო ძნელად ხელმისაწვდომი გახდა. ამას მოჰყვა საკრედიტო რეიტინგების უპრეცედენტო დაცემა, რაც საინვესტიციო სტაბილურობისთვის უფრო სერიოზული ფაქტორია, ვიდრე ეროვნული ვალუტის სიმყარე.

მაგრამ ყველაზე მთავარი კითხვები, რაც მაშინვე გაჩნდა, დღემდე უპასუხოდ რჩება – რას იზამს ბრიტანეთის მთავრობა, თუკი ევროკავშირთან „განქორწინება“ მისთვის სასურველი სცენარით არ წარიმართება? ზემოხსენებული ნეგატიური მოვლენები ხომ მცირე საფასური უნდა ყოფილიყო ახალი სავაჭრო-ეკონომიკური შესაძლებლობებისთვის, რაც ბრიუსელის „მარწუხებიდან“ თავის დაღწევას უნდა მოეტანა. სინამდვილეში კი, რეფერენდუმიდან ცხრა თვის შემდეგ კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ ბრექსიტის ინიციატორებს საერთოდ არანაირი გეგმა არ ჰქონიათ გამარჯვების შემთხვევაში. გაირკვა, რომ მათი მიდგომა ემყარებოდა იმედს, რომ ევროკავშირიდან გამოსვლა თავისით გადაჭრიდა ყველა პრობლემას. თუმცა რეალობა ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, რაც თავიდანვე სრულიად აშკარა იყო ბრექსიტის მონინაალმდეგეებისთვის (მათ შორის, ეკონომიკური ექსპერტების და პოლიტიკური ლიდერების აბსოლუტური უმრავლესობისთვის).

უბრალოდ უნდა აღვნიშნოთ ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტერეზა მეის მთავრობამ მაქსიმალურად განელა ევროკავშირის 50-ე მუხლის ამოქმედება, რათა მოლაპარაკებებისთვის განსაზღვრული ორწლიანი ვადისთვის წინასწარი კონსულტაციები შეეშველებინა, ცხრა თვის შემდეგ არ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ბრიტანეთის მთავრობამ სულ მცირედ მაინც შეიმსუბუქა ევროკავშირთან „გაყრის“ ამოცანა.

1 Swati Dhingra, Gianmarco Ottaviano, Thomas Sampson and John Van Reenen, *The impact of Brexit on foreign investment in the UK*, Centre for Economic Performance London School of Economics and Political Science, 2016, London

პირველად რეფერენდუმის შემდეგ გაისმა განცხადებები, რომ ბრიტანეთის მთავრობას თავად აღარ სჯერა ე.წ. „რბილი ბრექსიტისა“, როდესაც ქვეყანა გააგრძელებდა ევროკავშირთან თანამშრომლობის ბევრი სიკეთით სარგებლობას ისე, რომ მოიხსნიდა არასასურველი ვალდებულებების უმეტესობას. უფრო მეტიც, ხშირად ისმის იმის აღიარება, რომ ბრიტანეთს საერთო ბაზრის დატოვებაც მოუწევს, რაც რეფერენდუმის წინ ბრექსიტის მომხრეებს ერთხელაც არ უხსენებიათ.

დღეს სრულიად აშკარად გამოიხატა პერსპექტივა, რომ თავისუფალი გადაადგილების პრინციპზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც კავშირის დატოვების მომხრეთა მთავარი მოტივაცია აღმოჩნდა, თითქმის არ არსებობს შანსი, რომ ქვეყანამ შეინარჩუნოს წვდომა საერთო ბაზარზე, რომელზეც ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ნახევარზე მეტია დამოკიდებული².

ისმის კითხვა: ამ ცხრა თვის განმავლობაში შეძლო თუ არა ბრიტანეთის მთავრობამ შეემუშავებინა მოლაპარაკების სტრატეგია? თუ მისი მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებით ვიმსჯელებთ, დღესაც არ არსებობს არანაირი გეგმა. მათგან კი სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ „ცუდ შეთანხმებას მის გარეშე გამოსვლა სჯობია“, რაც ნიშნავს, რომ პოლიტიკურ მიზნებს უფრო მაღალი პრიორიტეტი ენიჭება, ვიდრე ქვეყნის სტრატეგიულ, პირველ რიგში, ეკონომიკურ ინტერესს.

როგორც ჩანს, ბრექსიტს და მასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პროცესს ევროკავშირის მესვეურებიც პოლიტიკური პრიორიტეტის პრიზმიდან უყურებენ. მათთვის მიუღებელია ევროკავშირიდან წვერი ქვეყნის „რბილი“ გასვლის პრეცედენტის დაშვება. ეს პროვეროპული ძალების დემორალიზაციას და ევროკავშირის მონინაალმდეგეების კიდევ უფრო მეტად ნახალისებას გამოიწვევდა.

აქედან იმის დასკვნა შეიძლება, რომ „რბილი“ ბრექსიტი, რომელიც ურთიერთკომპრომისებზე იქნებოდა დამყარებული, შეუძლებელი ხდება. ბრიტანეთიც და ევროკავშირიც პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ და არა – ეკონომიკური მიზანშეწონილობით. მას შემდეგ, რაც ორმხრივი ზარალი აშკარა გახდება, შესაძლოა დროთა განმავლობაში მოლაპარაკებები განახლდეს და

2 Charles Grant, *MRS MAY'S EMERGING DEAL ON BREXIT: NOT JUST HARD, BUT ALSO DIFFICULT*, Centre for European Reform, 20 Feb. 2017, London

მხარეები ეკონომიკური თანამშრომლობის აღდგენას შეეცადონ, მაგრამ მანამდე ორმხრივი ზარალის პერსპექტივა თითქმის გარდაუვალია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბრექსიტის მომხრეებს ამ ცხრა თვის მანძილზე მათთვის მოულოდნელი, თუმცა სრულიად კანონზომიერი გართულებებიც შეხვდათ. ისინი ევროკავშირის დატოვების სამართლებრივ მექანიზმად 23 ივნისს ჩატარებულ რეფერენდუმს მიიჩნევდნენ, თუმცა ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რომლის მიხედვითაც პარლამენტის გადანყვეტილების გარეშე რეფერენდუმის შედეგს ძალა არ ჰქონდა. ამის საფუძველი თავად ბრიტანეთის დაუნერულ კონსტიტუციაშია, რომლის თანახმად, სწორედ პარლამენტია პოლიტიკური ლეგიტიმაციის უზენაესი წყარო. ბრიტანულ პოლიტიკურ სისტემას ამიტომაც ჰქვია „საპარლამენტო სუვერენიტეტი“.

ამ ისტორიაში ყველაზე უცნაური ის იყო, რომ გადანყვეტილების გამოცხადების შემდეგ ბრექსიტის მომხრეებმა ნამდვილი იერიში მიიტანეს საკუთარ სასამართლოზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბრიტანეთის პარლამენტის სუვერენული უფლებების აღდგენას ევროკავშირის დატოვების ერთ-ერთ მთავარ მოტივად ასახელებდნენ. ამ სიახლეს რაიმე რევოლუციური ცვლილება ბრექსიტის პროცესში არ შეუტანია, რადგან პარლამენტის ორივე პალატამ (მცირე გართულებებით), საბოლოო ჯამში, მაინც მიანიჭა მთავრობას 50-ე მუხლის ამოქმედების მანდატი.

მეორე გართულება შოტლანდიის და ჩრდილოეთ ირლანდიის პოზიციასთანაა დაკავშირებული. შეგახსენებთ, რომ რეფერენდუმში გაერთიანებული სამეფოს შემადგენელმა ამ ორმა ქვეყანამ (ინგლისის და უელსისგან განსხვავებით) ხმა დიდი უმრავლესობით ევროკავშირში დარჩენას მისცა. შოტლანდიაში დარჩენამ მიიღო არა მხოლოდ ხმების უმრავლესობა, არამედ არ მოიძებნა არც ერთი ცალკეული საარჩევნო ოლქი, რომელშიც ბრექსიტი გაიმარჯვებდა. აქედან გამომდინარე, პირველად 2014 წლის შოტლანდიის დამოუკიდებლობის წარუმატებელი რეფერენდუმის შემდეგ შოტლანდიის მთავრობამ დაიწყო ლაპარაკი ახალი რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობაზე. აღსანიშნავია, რომ როგორც სამართლებრივი, ისე სამართლიანობის თვალსაზრისით შოტლანდიელ ნაციონალისტებს მიეცათ არგუმენტი დამოუკიდებლობის რეფერენდუმზე საუბრის ახლიდან დასაწყებად. ეს მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო: 2014 წლის

რეფერენდუმში შოტლანდიის დამოუკიდებლობის იდეის საწინააღმდეგო უმთავრეს არგუმენტს ევროკავშირის საკითხი წარმოადგენდა – დამოუკიდებელ შოტლანდიას მისი დატოვებაც მოუწევდა. ახლა, როცა თავად ბრიტანეთი ტოვებს ევროკავშირს, დამოუკიდებლობის მომხრეები იმავე არგუმენტს თავის სასარგებლოდ იყენებენ: მათი აზრით, შოტლანდია ბრიტანეთის შემადგენლობაში ევროკავშირის გამო დარჩა.

შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ნიკოლა სტერჯენმა უკვე განაცხადა, რომ მისი მთავრობა აპირებს ახალი რეფერენდუმის ჩატარებას 2019 წლისთვის, როცა უკვე ცნობილი იქნება ბრიტანეთს და ევროკავშირს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგები. მართალია, ჩრდილოეთ ირლანდიაში რეფერენდუმის მოთხოვნას წარმატების ნაკლები შანსი აქვს, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა სეპარატისტულად არაა განწყობილი, მაგრამ ბრექსიტი შესაძლოა 1990-იან წლებში დიდი გაჭირვებით (და მსხვერპლით) მიღწეული მშვიდობის დასასრულის ხელშემწყობი ფაქტორი გახდეს.

რომ შევაჯამოთ ბოლო ცხრა თვის მოვლენების განვითარება, ბრიტანეთისთვის საკმაოდ რთული რეალობაა შექმნილი: შედარებით ნაკლებად მტკივნეული „გაყრისთვის“ წინაპირობების შექმნის ნაცვლად, ტერეზა მეის მთავრობამ პრაქტიკულად გარდაუვალი გახადა ბრექსიტის ყველაზე რადიკალური ვარიანტი. ამ წუთისთვის არ ჩანს რაიმე შანსი, რომ ბრიტანეთი არათუ შეინარჩუნებს წვდომას საერთო ბაზარზე, არამედ, დიდი ალბათობით, დარჩება საბაჟო კავშირის მიღმა.

უფრო კონკრეტულად კი უნდა ითქვას, რომ ურთიერთხელსაყრელი შეთანხმების გარეშე (რისკენაც მიდის საქმე) ორი წლის თავზე დაუყოვნებლივ დადგება ეკონომიკური პრობლემების მთელი რიგი, რომლებსაც მძიმე შედეგების მოტანა შეუძლიათ: არაერთი ბიზნესი, მათ შორის საავტომობილო ინდუსტრიის დიდი ნაწილი, ბრიტანეთში საქმიანობის გაგრძელების წინაპირობად სწორედ იმგვარ შეთანხმებას განიხილავს, რომლის ფარგლებშიც სასიცოცხლოდ აუცილებელი ევროპიდან იმპორტირებული კომპონენტები და მზა საექსპორტო პროდუქცია უტარიფოდ განაგრძობს მოძრაობას.

იგივე ეხება საავიაციო ინდუსტრიას, რომელიც ერთგვარი სიმბოლოცაა ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციით მოტანილი წარმატებისა. პანევროპული საავიაციო კონცერნი „ეირბასი“ თავი-

სი თვითმფრინავებისთვის კომპონენტებს რამდენიმე ქვეყანაში ამზადებს, მათ შორის – ბრიტანეთში, სადაც ფრთები და სხვა ნაწილები იწყობა და შემდეგ საფრანგეთში იგზავნება. სატარიფო ომი ყველა მხარეს დაზარალებს, მაგრამ, როგორც ვთქვით, მხარეები უფრო პოლიტიკური პრიორიტეტით ხელმძღვანელობენ და არა ეკონომიკური ინტერესებით.

ამის გარდა, გრძელვადიანი პრობლემები შეექმნება ბრიტანეთში ყველა იმ სფეროს, სადაც ევროპის სხვა ქვეყნის მოქალაქეები მასობრივად არიან დასაქმებული: ეს ეხება ეროვნული ჯანდაცვის სისტემას, რომელშიც ათასობით მომუშავე ევროპელ ექიმს, ექთანს და დამხმარე პერსონალს ერთ დღეში დასჭირდება ჩანაცვლება. იგივე ეხება მოხუცთა მოვლის ცენტრებს, სადაც პერსონალის მნიშვნელოვან ნაწილს დღეს ლეგალურად მომუშავე ევროპელები წარმოადგენენ, რომელთა სტატუსიც ორი წლის შემდეგ შეწყდება.

ბრიტანული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი მომსახურების სფეროა, განსაკუთრებით კი, საბანკო სექტორი, რომელმაც ლონდონი მსოფლიო საფინანსო ცენტრად აქცია. ბრექსიტი მისთვისაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან საერთო ბაზრის დატოვების შემთხვევაში, ის ვეღარ შეინარჩუნებს დღევანდელ კონკურენტუნარიანობას და მისი მრავალი წარმომადგენელი თავის კლიენტებთან ერთად დუბლინში, ფრანკ-ფურტსა და პარიზში გადაინაცვლებს.

საბოლოოდ მხარეები ალბათ შეთანხმდებიან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე, მაგრამ შესაბამისი შეთანხმების მიღწევა დარჩენილ ორ წელიწადში, განსაკუთრებით, დღეს შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, საკმაოდ არარეალისტურად მიმაჩნია. არ ვიცი, რამდენად ესმით უბრალო ბრიტანელებს, თუ რას ნიშნავს მათი მთავრობის ლოზუნგი – „ცუდ შეთანხმებას მისი არარსებობა ჯობია“. მისი შინაარსი კი ისაა, რომ ბრიტანეთი სრულიად დაკარგავს ევროკავშირთან ვაჭრობის ყველა პრივილეგიას და მოუწევს სასაზღვრო ბარიერებთან და საბაჟო ტარიფებთან შეგუება პარტნიორთან, რომელთანაც საგარეო ვაჭრობის 57% აკავშირებს.

ბუნებრივია, ამგვარი სცენარის განხორციელების შემთხვევაში ევროკავშირის ქვეყნების, მათ შორის გერმანიის, სავაჭრო ინტერესებიც დაზიანდება, მაგრამ მასშტაბი ახლოსაც არ იქნება იმასთან, რა საფასურის გადახდაც მოუწევს ბრიტანეთს. საქმეს ის ართულებს, რომ ეკონომიკურ მოსაზრებებზე მაღლა პოლიტიკურ

კონიუნქტურას, ბრიტანელი პოლიტიკოსების მსგავსად, ევროკავშირიც აყენებს. მათი პრიორიტეტია – არ დაუშვან პრეცედენტი, რომელიც სხვა ევროპული ქვეყნებისთვის ცდუნება გახდებოდა და დომინოს ეფექტს გამოიწვევდა.

ეს გასაგებიცაა – თუ ბრიტანეთმა უპრობლემოდ მიიღო სასურველი, ევროკავშირის არაერთ ქვეყანაში გააქტიურებული ანტიევროპული, უმეტესად მემარჯვენე რადიკალური ძალები (ზოგ შემთხვევაში რადიკალი მემარცხენეები) საკუთარ შანსს ელოდებიან, რომ ანტიევროპულ ტალღაზე ხელისუფლების სათავეებთან მოხვდნენ.

* * *

ბრიტანეთის შემდეგ ბრექსიტის რეფერენდუმის შედეგები, პირველ რიგში, ევროკავშირს ეხება, მაგრამ სანამ იქ მიმდინარე მოვლენებს შევეხები, არ შეიძლება არ ვახსენო 2016 წლის მეორე შოკისმომგვრელი გლობალური მოვლენა, რომელიც შინაარსით ბრექსიტს უკავშირდება – ეს გახლდათ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში პოპულისტი კანდიდატის – დონალდ ტრამპის გამარჯვება. მე შეგნებულად არ ვუნოდებ მას რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს, რადგან პარტია მას ბოლო მომენტამდე გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა. რესპუბლიკელები მხოლოდ მას შემდეგ დანებდნენ ტრამპს, რაც ნათელი გახდა, რომ ის არჩევნებში მათ გარეშეც მიიღებდა მონაწილეობას და რესპუბლიკელების მარცხს გარანტირებულს გახდიდა. ამგვარად ტრამპმა ჰილარი კლინტონზე გამარჯვებამდე ჯერ რესპუბლიკური პარტია დაამარცხა.

ბრექსიტმა და ტრამპის გამარჯვებამ ევროპაში ნამდვილი პანიკა გამოიწვია, რადგან ამ ორმა მოვლენამ უკიდურესად გაამხნევა ევროპის რადიკალური ანტიგლობალისტური, ანტიევროპული ძალები. შეიქმნა საშიშროება, რომ ევროპა ახალი „ბრექსიტების“ სერიის წინაშე აღმოჩნდებოდა და კავშირი არსებობას დაასრულებდა.

მართალია, ევროპის ქვეყნებში დაგეგმილი ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები ჯერ წინაა – 23 აპრილს საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური გაიმართება, ხოლო ნოემბერში – გერმანიის ბუნდესტაგის. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი გადასახედიდან ევროპული არმაგედონი გარდაუვალი არ უნდა იყოს. პოლიტიკური, მით უმეტეს, საარჩევნო წინასწარმეტყველება, როგორც წესი, ფუჭი საქმეა, მაგრამ ამის თქმის უფლებას მაძლევს გასული წლის დეკემბერში ავსტრიის

პრეზიდენტის განმეორებით არჩევნებში ანტიევროპული კანდიდატის მარცხი და ახლახან ნიდერლანდების საპარლამენტო არჩევნებში პროევროპული მოქმედი პრემიერ-მინისტრის მარკ რუტეს გამარჯვება.

ეს არ ნიშნავს, რომ ევროპულ პროექტს საფრთხე აღარ ემუქრება და საღმა აზრმა საბოლოოდ გაიმარჯვა, რადგან პრობლემა მხოლოდ მემარჯვენე პოპულისტებისგან არ მოდის. მოახლოებულ არჩევნებში მარინ ლე პენი მხოლოდ ანტისაიმიგრაციო და ანტიევროპული ლოზუნგებით გამარჯვების სერიოზულ შანსს ვერ მოიპოვებდა, რომ არა საზოგადოების იმედგაცრუება ტრადიციული პოლიტიკური პარტიების მიმართ: ყველა წინასაარჩევნო გამოკითხვის მიხედვით, საფრანგეთის ორი მთავარი პარტიის – რესპუბლიკელების და სოციალისტების – კანდიდატები მეორე ტურშიც კი ვერ ხვდებიან. ამის მიზეზი კორუფციული სკანდალებია. ეს ისტორია ჰილარი კლინტონის სიტუაციას მაგონებს, რომელსაც მის იმეილებთან დაკავშირებული სკანდალი ისეთ ზიანს ვერ მოუტანდა, რომ არა საზოგადოებაში ჩამოყალიბებული აზრი მისი და მისი ოჯახის ვერცხლმოყვარეობის შესახებ. საფრანგეთის უპირატესობა ისაა, რომ აშშ-ისგან განსხვავებით, მათ მესამე ძალის არჩევანი აქვთ ემანუელ მაკრონის – ცენტრისტი კანდიდატის – სახით.

მაშ, რა ხდება ლამანშის გადმოდმა? ევროკავშირის ოცდაშვიდმა ლიდერმა ახლახან კავშირის დამფუძნებელი რომის შეთანხმებების 60 წლისთავი აღნიშნა. ეს თარიღი ევროპელებისთვის კარგი შეხსენება იყო იმისა, თუ რას მიაღწია მეორე მსოფლიო ომით განადგურებული ევროპის ასაღორძინებლად შემუშავებულმა საინტეგრაციო პროექტმა. დღეს ბევრი არც ფიქრდება იმაზე, რომ ევროპის გაერთიანების იდეა იმ ხალხს გაუჩნდა, ვის თვალწინაც კონტინენტს ორჯერ გადაუარა ისტორიაში ყველაზე განადგურებელი ომების ქარცეცხლმა. შედეგად, ევროპის ხალხებმა მიიღეს არა მხოლოდ ხანგრძლივი მშვიდობა, არამედ ეკონომიკური და სოციალური განვითარების არნახული დონე, რომლის მსგავსიც არასდროს არსებულა მანამდე და მსოფლიოს უმეტეს ნაწილში დღესაც მიუღწეველ ოცნებად რჩება.

მიუხედავად ყველაფრისა, ეს არ ცვლის იმ რეალობას, რომ დღევანდელი ევროკავშირი დიდი გამოცდის წინაშე დგას. ბრექსიტმა აჩვენა არა მხოლოდ პოპულიზმის საფრთხე, არამედ რეალურად არსებული პრობლემებიც, რომელთა გადაჭრაზე ფიქ-

რით ბრიუსელსა და ევროპულ დედაქალაქებში აქამდე დიდად თავს არ იწუხებდნენ. ამიტომ ჯერ კიდევ შარშან გამოვთქვი იმედი, რომ ბრექსიტი ერთგვარ გამომაფხიზლებელ როლსაც შეასრულებდა და თითქოს ამის ნიშნები უკვე გაჩნდა. დღეს უკვე სერიოზულად განიხილება „სხვადასხვა სიჩქარის“ დაშვება კავშირის ნევრი ქვეყნებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ინტეგრაციის უსასრულოდ გაღრმავება შეიძლება ყველასთვის ხელსაყრელი არ იყოს და ეს არ უნდა გახდეს ახალი განხეთქილების მიზეზი: ცალკეულ ქვეყნებს საშუალება მიეცემათ ახალ პროექტებს მოგვიანებით შეუერთდნენ ან სულ არ მიიღონ მათში მონაწილეობა. ამის მსგავსი შეთანხმება ევროკავშირმა რეფერენდუმის ჩატარებამდე დევიდ კამერონს შესთავაზა. მას შემდეგ, რაც ბრექსიტის ეკონომიკური ფასი სულ უფრო ნათელი ხდება, შესაძლოა, ამგვარი შეთავაზება ბევრად უფრო მიმზიდველი აღმოჩნდეს.

ასევე განიხილება ევროპული ინსტიტუტების, პირველ რიგში, ევროკომისიის უფლებამოსილებების შეკვეცა და მათი ეროვნულ ინსტიტუტებში დაბრუნება. მეორე მხრივ, დღის წესრიგში უფრო ღრმა ინტეგრაციის საკითხებიც მოხვდა – განიხილება გადანყვეტილებების ერთხმად მიღების ნაცვლად უმრავლესობის პრინციპის შემოღება.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ბრექსიტი ევროპის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ჯაჭვში პირველი მოქმედება აღმოჩნდა. შესაძლოა, ის თავად არის ევროპაში არსებული კრიზისის ერთ-ერთი სიმპტომი, მაგრამ ამ მოვლენით დაიწყო პროცესი, რომლის შედეგადაც ევროკავშირი აღარასდროს იქნება ისეთი, როგორსაც აქამდე ვიცნობდით.

მოვლენათა განვითარება შესაძლოა ორი რადიკალურად განსხვავებული სცენარით ვიხილოთ. პირველის განხორციელების შემთხვევაში, ბრექსიტი სხვა ევროპულ ქვეყნებშიც ნაახალისებს პოპულისტური ძალების აღზევებას და ევროკავშირის რეალურად დაშლით დასრულდება. ამ სცენარს მეტი დამაჯერებლობა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის გამარჯვებამ შესძინა. მიუხედავად ყველაფრისა, ანტიევროპული პოპულიზმის დომინოს ეფექტი ჯერ არ ქცეულა რეალობად და ბრექსიტის შემდეგ ჩატარებული ევროპული არჩევნები იმის იმედს ტოვებენ, რომ ბრექსიტიც და ტრამპიც უფრო გაფრთხილების ფუნქციის შესრულებას იწყებენ, ვიდრე მისაბაძი მაგალითის.

თავდაპირველად ბრექსიტი და ტრამპის გამარჯვება ბერისთვის ნდობადაკარგული პოლიტიკური ისტებლიშმენტის დამარცხების პრეცედენტად აღიქმებოდა და კარს უხსნიდა პოლიტიკური კორექტულობის საბაბით ტაბუდადებულ რეალურ პრობლემებზე საუბარს. დღევანდელი გადმოსახედიდან ვითარება მნიშვნელოვნადაა შეცვლილი, რადგან ბრექსიტის ილუზიებს სულ უფრო მეტად მტკივნეული რეალობა ანაცვლებს, ხოლო პრეზიდენტ ტრამპის მართვის სტილი (საკუთარ მრჩეველებთან შეუთანხმებელი პოლიტიკური განცხადებების ტვიტერით გავრცელება) და საკადრო პოლიტიკა (ოჯახის წევრების დანიშვნა თანამდებობებზე) მის მხარდამჭერებსაც თავსატეხს უჩენს. „ობამაქარის“ აქტის გაუქმება-ჩანაცვლების ჩავარდნა კონგრესში იმის მაგალითი აღმოჩნდა, რომ ტრამპმა, რომელიც გარიგებების დადების უნარით იწონებდა თავს, საკუთარი პარტიის წარმომადგენლებთან ვერ შეძლო შეთანხმება.

ამგვარად, ნელ-ნელა იკვეთება რეალობა, რომ პოპულისტი ლიდერების დაპირებები სანდო არაა და არათუ შესწევთ ძალა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების ტრადიციულ პოლიტიკოსებზე უკეთ მოგვარებისა, არამედ ხშირად ამ პრობლემების გაღრმავების მიზეზიც კი ხდებიან.

ბრექსიტის ნეგატიური შედეგები უკვე თვალნათლივ ჩანს და მათი რიცხვის გაზრდაც მოსალოდნელია. ამასთან, შესაძლოა, ტრამპის პრეზიდენტობასთან ერთად ბრექსიტმა ევროპისთვის გამომავზიზღებელი ზარის როლი შეასრულოს და ევროკავშირში ჯანსაღ ძალებს პოპულიზმთან დაპირისპირებაში მეტი შანსი მისცეს.

ამკარაა, რომ ევროპისთვის 2017 წელი ისტორიული იქნება. ნიდერლანდების არჩევნები ამის კარგი დასაწყისი იყო. იმედი ვიქონიოთ, რომ საფრანგეთის და გერმანიის არჩევნების შემდეგ ევროპული პროექტი ახალი ენერჯით განვითარდება.